ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის 2014 წლის 6 ივნისის ბრძანებით დადგენილი იყო ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნინო გელაშვილი, ხოლო 2021 წლის 24 მაისის ბრძანებით დადგენილია კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თეა ჩინჩალაძე.
სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას და ა.შ.
2020 წლის 07 დეკემბრიდან 2021 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით, ზესტაფონის რაიონულ (მათ შორის ხარაგულისა და თერჯოლის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 17 განცხადება. შემოსულ განაცხადთაგან 12 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, 2 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 3 განცხადება არ დაკმაყოფილდა.
საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადებებზე გადაწყვეტილებები 2020 წლის 7 დეკემბრიდან 2021 წლის 24 მაისამდე მიღებული იქნა სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნინო გელაშვილის მიერ, 2021 წლის 24 მაისიდან 2021 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თეა ჩინჩალაძის მიერ.
საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც დაეყრდნო საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.
საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ ყოფილა.

თეა ჩინჩალაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი -
კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები
განყოფილების უფროსი
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი